საქართველოს მთავრობის

დადგენილება №567

2022 წლის 14 დეკემბერი

ქ. თბილისი

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“.

მუხლი 2

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აწარმოე საქართველოში უზრუნველყოს ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ა) **პროგრამა** – „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“;

ბ) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

გ) **სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრი** – პროგრამის ფარგლებში შექმნილი სივრცე, სადაც დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ამ პროგრამით განსაზღვრული მომსახურება;

დ) **სამინისტრო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ე) მეწარმე სუბიექტი:

ე.ა) პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიღების მსურველი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული პირი, ან/და

ე.ბ) 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი;

ვ) პროგრამული უზრუნველყოფა – პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შემუშავებული ერთიანი ელექტრონული სისტემა;

ზ) მოდული – საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისა და ბიზნესუნარების გაუმჯობესების მიმართულებების ფარგლებში სააგენტოს მიერ შემუშავებული თემატური პაკეტები.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №503 - ვებგვერდი, 26.12.2023წ.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თბილისსა და რეგიონებში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების, ბიზნესუნარების განვითარების მხარდაჭერისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას.

მუხლი 3. პროგრამის მიმართულებების აღწერა

1. სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრების მიერ გასაწევი მომსახურებები მოიცავს 3 მიმართულებას, ესენია:

ა) საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

ბ) ბიზნესუნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

გ) საინფორმაციო მომსახურების გაწევა.

2. საკონსულტაციო მომსახურების გაწევა მოიცავს ამ პროგრამის პირველი მუხლის „ე.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კონკრეტული მეწარმე სუბიექტის დიაგნოსტიკას, მათ შორის, და არამხოლოდ, არსებული პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, საკონსულტაციო კომპანიის ჩართულობით, მასზე მორგებული მომსახურების მიწოდებასა და ამავე მომსახურების თანადაფინანსებას.

3. ბიზნესუნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა მოიცავს ამ პროგრამის პირველი მუხლის „ე.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მეწარმე სუბიექტის საჭიროებებზე მორგებული მოკლევადიანი/ გრძელვადიანი სემინარებისა და ლექციების/ტრენინგების მიწოდებას, მათ შორის, და არამხოლოდ, ბიზნესშეხვედრების ორგანიზებას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, მასშტაბური ბიზნესკამპანიების ორგანიზებასა და ამ მიზნებისათვის სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრის ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობას.

4. საინფორმაციო მომსახურების გაწევა მოიცავს, ერთი მხრივ, ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარებას, როგორც ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებთან, ასევე სხვადასხვა ბიზნესის მხარდამჭერ უწყებებსა და დონორ ორგანიზაციებთან, ხოლო, მეორე მხრივ, პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მეწარმე სუბიექტისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის, და არა მხოლოდ, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების, ბიზნესსფეროს სიახლეებისა თუ სექტორული კვლევების თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №503 - ვებგვერდი, 26.12.2023წ.

მუხლი 4. მეწარმე სუბიექტის კრიტერიუმები

1. პროგრამით განსაზღვრული საკონსულტაციო და ბიზნესუნარების გაუმჯობესების მიმართულებით განსაზღვრული მომსახურებების მიმართულებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს პირველი მუხლის „ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ იმ მეწარმე სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) არის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად III ან IV კატეგორიის საწარმო, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში;

ბ) მისი ეკონომიკური საქმიანობის სახე თავსდება სამინისტროსთან შეთანხმებით სააგენტოს დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ჩამონათვალში;

გ) არ არის სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის, აგრეთვე სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირი;

დ) არ არის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად I ან II კატეგორიის საწარმოს მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული

პირი;

ე) არ აქვს სახელმწიფოს მიმართ საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე);

ვ) არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

2. პროგრამით განსაზღვრულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით სარგებლობის უფლებამოსილება აქვს:

ა) პირველი მუხლის „ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მეწარმე სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და

ბ) პირველი მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მეწარმე სუბიექტს.

3. სააგენტო უფლებამოსილია, სამინისტროსთან შეთანხმებით, მოახდინოს ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე დამატებითი კრიტერიუმების, მათ შორის, პროგრამაში მონაწილეობის შემზღუდველი კრიტერიუმების დაწესება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №503 - ვებგვერდი, 26.12.2023წ.

მუხლი 5. თანადაფინანსების მოცულობა და ლიმიტები

1. სამინისტროსთან შეთანხმებით გამოცემული სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დგინდება საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიმართულებით მეწარმე სუბიექტისათვის მისაწოდებელი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების ფარგლებში გასაწევი მომსახურებების დაფინანსებაში სააგენტოსა და მეწარმე სუბიექტის პროცენტული მონაწილეობის მაჩვენებლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიმართულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურების ღირებულებაზე სააგენტოს მიერ განსახორციელებელი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა, გარდა დიგიტალიზაციისა, თითოეული ბენეფიციარის შემთხვევაში, შეადგენს არა უმეტეს 10 000 ლარს, ხოლო დიგიტალიზაციის მიმართულებით – არა უმეტეს 25 000 ლარს.

3. თუ მეწარმე სუბიექტი დიგიტალიზაციასთან ერთად სარგებლობს სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებითაც, მის მიერ გამოსაყენებელი თანადაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 25 000 ლარს, აღნიშნულ შემთხვევაში, დიგიტალიზაციის გარდა, სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებ(ებ)ის ღირებულების თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა შეადგენს 10 000 ლარს.

4. მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია, საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით ისარგებლოს რამდენიმეჯერ. ამასთანავე, აკრძალულია საკონსულტაციო მომსახურების ერთსა და იმავე მოდულის ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურებ(ებ)ით რამდენიმეჯერ სარგებლობა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №503 - ვებგვერდი, 26.12.2023წ.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელება

1. პროგრამის კოორდინაციასა და განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამინისტრო.

2. პროგრამის მართვას ახორციელებს სააგენტო, ამავე პროგრამისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად. ამასთანავე, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით სააგენტო ქმნის პროგრამულ უზრუნველყოფას.

3. პროგრამაში მონაწილე მეწარმე სუბიექტებისათვის პროგრამით განსაზღვრული მომსახურებების განხორციელების წესს, ეტაპებს, ვადებს, პირობებს და ასევე ყველა სხვა დამატებით მოთხოვნებს, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ პროგრამით, განსაზღვრავს სააგენტო, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №503 - ვებგვერდი, 26.12.2023წ.

მუხლი 7. პროგრამაში მონაწილეობა

1. პროგრამით დაინტერესებული მეწარმე სუბიექტი მიმართავს სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრს.

2. სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრი აფასებს მეწარმე სუბიექტის საჭიროებებს ამ პროგრამისა და ამავე პროგრამის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გამოცემული სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად და სთავაზობს შესაბამის მომსახურებას.

3. შეთავაზებული მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა, მეწარმე სუბიექტთან გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება.

მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამა შესაძლოა, დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.